<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2018 წელი

ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თბილისის ზღვის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, გაგრძელდეს თბილისის ზღვის ქუჩა და მასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს თბილისის ზღვის IV შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:1,300
X:486,614.891
Y:4,623,857.978
IV შეს.
X:486,808.775
Y:4,623,801.711
X:486,794.059
Y:4,623,784.185
თბილისის ზღვის ქ.
X:486,763.013
Y:4,623,719.782

KA011788334911118

: 0114 . #2; www.napr.gov.ge;

: 2 405 405; 08 009 009 09

 # 37461 **23 / / 2018 .**

: ,
N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 16 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N **M18000898** განცხადებით მომართა მოქალაქე ზაქრო შენგელიამ **(**პ/ნ**: 01019033631)**, რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი**,** გლდანი**,** "ავშნიანი" (საკადასტრო კოდით N**72.13.40.238**).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N**72.13.40.238**) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031803347**

თარიღი: **02.02.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მისამართი: წმ. ნიკოლოზის / ნ. ჩხეიძის ქ.2

ასლი: სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს

ქალბატონ ნინო ბახიას

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბახიას 2018 წლის 24 იანვრის საქმე #04-03180242-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე ზაქრო შენგელიას N M18000898 განცხადების საფუძველზე ითხოვს გლდანის რაიონში, ავშნიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე უსახელო ქუჩის სახელდებას (ს.კ.72.13.40.238).
როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური) მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი).
გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

თ. ნიბლოშვილი

თინათინ ნიბლოშვილი

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **60-01180462990**

თარიღი: **15.02.2018**

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 02.02.2018 წლის 03-031803347 (02.02.2018წ. #14-01180332065-60) განცხადება, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური - მიწის ნაკვეთის
საზღვრების მომზადების განყოფილება -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

რუსუდან გეჯაძე

1:1,300
X:486,614.891
Y:4,623,857.978
X:486,808.775
Y:4,623,801.711
X:486,794.059
Y:4,623,784.185
X:486,763.013
Y:4,623,719.782